პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

3 მარტი, ხუთშაბათი, 1988 წ.
№ 45 (9712) ◎ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების I ყრილობის დელეგატთა საყურადღებოდ!

პროფკავშირების საკავშირო ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭო აუწყებს პროფკავშირების საქართველოს ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების I ყრილობის დელეგატებს, რომ ყრილობა გაიხსნება 5 მარტს 10 საათზე პროფკავშირების კულტურის სასახლეში (ვაჟა-ფშაველას გამზ. № 43).

დელეგატების რეგისტრაცია თბილისის ორგანიზაციიდან იწარმოებს 3 მარტს; საოლქო, საქალაქო და რაიონულ ორგანიზაციებიდან 4 მარტს 8 სთ-დან 13 სთ-მდე, რესპუბლიკური საბჭოს სააქტო დარბაზში (წერეთლის გამზ. 95-ა). 5 მარტს დელეგატების და მოწვეული სტუმრების რეგისტრაცია ჩატარდება 8 სთ-დან 9.30 სთ-მდე პროფკავშირების კულტურის სასახლეში.

პროფკავშირების სნფსს საქართველოს რესპუბლიკური საბჭო.

## და ოსტატის ნორმებაც

**ბორჯომელმა** პაატა ტუტუნაშვილმა პირველი ადგილი დაიკავა პროფკავშირების ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების საკავშირო პირველობაზე თავისუფალ ჭიდაობაში, რომელიც იუნიორთა შორის ჩატარდა. ქართველი მოჭიდავე 58 კგ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა. შეჯიბრებაზე, რომელსაც უკრაინის ქალაქი ტერნოპოლი მასპინძლობდა, ვერცხლის მედალი მოიპოვა თბილისელმა დავით აბრამიშვილმა (82 კგ). ორივე ქართველმა მოჭიდავემ პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი.



**ათლეტიზმში** საბჭოთა კავშირის თასის პირველ გათამაშებაში, რომელიც ქ. ტიუმენში გაიმართა, საქართველოს გუნდის წარმომადგენელი სიღნაღელი მძიმეწონოსანი შოთა ბეჟაშვილი ამ თასის პირველი ქართველი მფლობელი გახდა. შოთამ კლასიკურ წოლჭიმში 265 კგ დაძლია და თავისივე საკავშირო მიღწევა 10 კგ-ით გააუმჯობესა. ეს შედეგი 7,5 კგ-ით მეტია ევროპის რეკორდზე, რომელიც ფინელ ჰანნუ საარელაინენს ეკუთვნის. სამწუხაროდ, სიღნაღელი ათლეტის მიღწევა ოფიციალურ რეკორდად არ ჩაითვლება, რადგან საბჭოთა კავშირი ჯერჯერობით ევროპის ათლეტური ტანვარჯიშის ფედერაციის წევრი არ არის. ჩვენი გუნდის სხვა წევრებიდან თავი კვლავ სიღნაღელებმა გამოიჩინეს — დათო მერაბიშვილმა (76,5 კგ) და ბესარიონ ღვინიაშვილმა კლასიკურ წოლჭიმში და ბუქნში შესაბამისად მეორე შედეგები აჩვენეს.

საერთოდ კი გუნდი, რომელიც ამ შეჯიბრების ერთ-ერთ ფავორიტად ითვლებოდა, სუსტად გამოვიდა და ბოლოს წინა მეათე ადგილი დაიკავა.

ს უ რ ა თ ზ ე: შოთა ბეჟაშვილი.

თვის მონაგარი

# მედლები, მედლები...

თებერვალში მთელი სპორტული სამყაროს გულისყური და მზერა, ცხადია, კალგარისკენ იყო მიპყრობილი, სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო: ოლიმპიური თამაშები უდიდესი მოვლენაა და ამ გრანდიოზული ასპარეზობით ტკბობის საშუალება მხოლოდ ოთხ წელიწადში ერთხელ გვეძლევა.

კალგარის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა სპორტსმენების დიდი წარმატების ამბავი ცნობილია. ისიც ვიცით, რომ მათს გამარჯვებებში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს, ტრადიციისამებრ, არავითარი წვლილი არ მიუძღვით. ეგ კია, საბჭოთა ოლიმპიელები ბოლო მზადებას ბაკურიანში გადიოდნენ და კმაყოფილიც დარჩნენ მასპინძლობით. ახლა წინ სეულის ოლიმპიადაა.

თუ ვინ გაემგზავრება სეულში, ამას გადაწყვეტს საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებები, რომლებიც წლეულს უკვე გაიმართა და ოლიმპიადამდე დარჩენილ დროში კიდევ გაიმართება. ამიტომ ჩვენმა ათლეტებმა სწორედ ახლა უნდა დაამტკიცონ თავიანთი ძალა და უნარი, სწორედ ახლა უნდა მოიპოვონ გამარჯვებები, თორემ ძველი დამსახურებისათვის საბჭოთა ნაკრებში მოხვედრაზე ფიქრი დიდი მიამიტობა იქნება.

ჩვენდა სასიხარულოდ, თებერვალში საქართველოს სპორტსმენთა მონაგარი საკმაოდ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა და ბევრმა ათლეტმა შარშანდელი იმედები განგვიმტკიცა.

**საუბარი** გვინდა დავიწყოთ თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მიერ იანვრისა და თებერვლის მიჯნაზე მოპოვებული წარმატებებით. სწორედ ამ დროს გაიმართა თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, რომელიც ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპარეზობა გახლდათ. სპორტის სასახლის გუმბათქვეშ ძალას ცდიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების, ბულგარეთის, გდრ-ის, თურქეთის, მონღოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, უნგრეთის, სსრ კავშირისა და ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები.

სასიამოვნოა, რომ ათიდან ხუთ ფინალურ შეხვედრაში გამოსვლის უფლება საქართველოს სპორტსმენებმა მოიპოვეს. ყველაზე პრესტიჟულ — 100 და 130 კგ წონითი კატეგორიების მოჭიდავეთა შეჯიბრებაში საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე სწორედ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები ლერი ხაბელოვი და დავით გობეჯიშვილი ავიდნენ.

ამას გარდა, ჩვენმა ათლეტებმა — ზურაბ ტატუაშვილმა (52 კგ),

იხ. მე-3 გვ.

## I ლიგის წყალბურთელთა საკავშირო პირველობა

**როგორც** გახსოვთ, თბილისის ასკ-ს წყალბურთელებმა, რომელთა გუნდი რესპუბლიკის № 3 უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლის ბაზაზეა შექმნილი, წლევანდელი პირველობა მეტად უფეროლად დაიწყო და კაუნასში გამართულ ხუთ შეხვედრაში ერთადერთი ქულა აიღო.

ასეთი წარუმატებელი სტარტის შემდეგ თბილისელები დიდ იმედებს ამყარებენ II ტურში, რომელსაც ისინი მასპინძლობენ.

თბილისში საასპარეზოდ, მასპინძელთა გარდა, თავი მოიყარეს დუშანბეს სკ-ს, ჟდანოვის „აზოვის", მოსკოვის „ტორპედოს", ვოლგოგრადის „სპარტაკისა" და კიშინიოვის უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სკოლის გუნდებმა. მათგან მასპინძლები შეხვდებიან კიშინიოვის, მოსკოვისა და ვოლგოგრადის წყალბურთელებს.

გუშინ გაიმართა პირველი შეხვედრები. თბილისელები ეთამაშებოდნენ მოლდავეთის გუნდს და დამარცხდნენ — 8:15.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: სკ (დუშანბე) — „ტორპედო" — 7:8, „აზოვი" — „სპარტაკი" — 9:11.

## სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

დღეს, 13 საათზე, თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის საწვრთნელ ბაზაზე, დიღომში, ახალი საფეხბურთო სეზონის მოახლოებასთან დაკავშირებით სპორტულ ჟურნალისტთა რესპუბლიკური ფედერაცია აწყობს ჟურნალისტების შეხვედრას „დინამოს" უფროს მწვრთნელთან გ. ზონინთან და გუნდის ხელმძღვანელობასთან.

## ახალგაზრდული გაზეთების პრიზებზე



**თბილისის** 58-ე სპეციალიზებული საკალათბურთო სკოლის დარბაზში მიმდინარეობს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შეჯიბრება კალათბურთში გაზეთების „ახალგაზრდა კომუნისტისა" და „მოლოდიოჟ გრუზიის" პრიზებზე.

ეს ტრადიციული შეჯიბრება, რომელიც სულ უფრო პოპულარული ხდება, ოლიმპიური სისტემით ტარდება. წლევანდელ გათამაშებაში თბილისის რაიონების მოზარდთა 20 გუნდი მონაწილეობს. შეჯიბრებას მსაჯობენ ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები და 58-ე სკოლის მოსწავლეები. მთავარი მსაჯის ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტთამაშების კათედრის უფროსი მასწავლებლის რევაზ რუხაძის ხელმძღვანელობით.

უკვე გაიმართა მერვედფინალური შეხვედრები. გამარჯვებული გუნდები მომავალ კვირას მეოთხედფინალურ მატჩებში მიიღებენ მონაწილეობას. გამარჯვებულთა ვინაობა 20 მარტს გამოვლინდება.

**ნინო სეხნიაშვილი,**
**ხათუნა იმნაძე,**
თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის VI კურსის სტუდენტები.

სსრ. სახ. ... [stamp]

## ბრინჯაოს მედალი ახალ დისტანციაზე

**საბჭოთა** კავშირის ჩემპიონი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი მაია აზარაშვილი წლეულს ახალ — 400-მეტრიან დისტანციას ითვისებს. ესპანეთში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე, სადაც ჩვენი ქვეყნის ნაკრების სხვა წევრებთან ერთად მაია აზარაშვილიც გამოდიოდა, მან სწორედ 400-მეტრიან დისტანციაში სცადა ძალა და მესამე ადგილი დაიკავა შედეგით — 54,90.

## ცხადდება ერთთვიური

**საქართველოს სპორტსახკომის სპორტულ ნაგებობათა სამმართველო და სპორტულ ჟურნალისტთა რესპუბლიკური ფედერაცია აცხადებენ ახალი სპორტული სეზონისათვის საზაფხულო სპორტული ბაზების მოწესრიგება-კეთილმოწყობის ერთთვიურს. ადგილებზე გატარებული ღონისძიებებისა და პრაქტიკულად ჩატარებული სამუშაოების შესახებ გთხოვთ სისტემატურად გამოაგზავნოთ ინფორმაციები „ლელოს" რედაქციაში, 1 აპრილამდე.**

# „ლელოს" საკონსულტაციო პუნქტი გთავაზობთ

**დადგა** გაზაფხული, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის განსაკუთრებით გააქტიურება-გამოცოცხლების დრო. ამთავითვე ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ მუშაობას სისტემატური ხასიათი მივცეთ, ფიზკულტურის კოლექტივები აუცილებლად უნდა ჩაერთონ ყველა ღონისძიებებში, რაც გათვალისწინებულია



რესპუბლიკის სპორტსახკომის და პროფკავშირთა სპორტული საზოგადოების მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიების კალენდრით. ცხადდება სპორტული ბაზების მოწესრიგება-კეთილმოწყობის ერთთვიური, საზაფხულო ბაზების დროული მოწესრიგება შემდგომში ეფექტური მუშაობის საწინდარია.

ახლა უშუალოდ მომავალი დასვენების დღეების ღონისძიებებზე: კვლავ რჩება დღის წესრიგში შრომითი კოლექტივების მეგობრული თამაშები, ტურისტული ლაშქრობები, უნდა ჩატარდეს 8 მარტისადმი მიძღვნილი მასობრივ-გამაჯანსაღებელი და სპორტული ღონისძიებები. მივიღეთ ცნობა ბათუმიდან, სადაც 4 მარტს იწყება ქალთა სპარტაკიადა, თბილისის საქალაქო





საბჭოს აღმასკომის საბინაო მეურნეობის სამმართველო და რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის სამმართველო 6 მარტს ატარებენ ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ტურისტულ ლაშქრობას მარშრუტით: გამარჯვების პარკი — კუს ტბა — გამარჯვების პარკი. კუს ტბის ტერიტორიაზე ჩატარდება შეჯიბრებები მინიფეხბურთში, სიმძიმეების აწევაში, ბაგირის გადაძალვაში, ბადმინტონში, ავჭალურში, ჭადრაკში და შაშში. ლაშქრობაში იწვევენ თბილისის მოსახლეობას და დედაქალაქის სტუმრებს. მონაწილენი იკრიბებიან გამარჯვების პარკში 10 საათზე. 4 მარტს „ბურევესტნიკის" სპორტულ კომპლექსში დაგეგმილია პროფკავშირთა სპორტული საზოგადოების



I ყრილობის დელეგატთა სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობა. მრავალფეროვანი მასობრივი ასპარეზობები ჩატარდება რუსთავში.

ქალაქებისა და რაიონების ფიზკულტურის კომიტეტებს ვთხოვთ, ადგილებზე ჩატარებული ღონისძიებების შესახებ გვაცნობონ, ამასთან განსაზოგადებლად შემოგვთავაზონ სიახლეები.

## ხარვეზებზე — საჯაროდ!

**ბოლო** 13 წლის მანძილზე ქართული კრივის განვითარების სურათი გულის კარდიოგრამას ჰგავს. ამ გზაზე იყო აღმავლობა, კულმინაცია, შემდეგ — დაშვება, სწორი ხაზი, კვლავ აღმავლობა და... ვგულისხმობ იმას, რომ 1976 წლის შემდეგ დავით კვაჭაძე ერთხელ ევროპის ჩემპიონი გახდა, სამჯერ კი — საბჭოთა კავშირისა. ამავე პერიოდში ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა ამირან ხიზანიშვილმა, ხოლო ბრინჯაოს მედალი — მურმან თაქთაქიშვილმა. შემდეგ თითქმის ხუთ წელიწადს მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. და აი, 1985 წელს ალბერტ კაზანჯიანმა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა. შემდეგ პრიზიორები გახდნენ ხვიჩა ხდრიანი, რუდიკ კაზანჯიანი, საბჭოთა კავშირის თასი დაისაკუთრა იური სავოჩკინმა. ტაშკენტში გამართული საბჭოთა კავშირის დღევანდელი ჩემპიონატის შედეგად, სამწუხაროდ, მრუდი კვლავ ქვემოთ დაეშვა — ერთი ბრინჯაოს მედალი, რომელიც ალბერტ კაზანჯიანის წილად მოდის, ცხადია, დიდ მონაპოვრად არ ჩაითვლება.

საკავშირო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ საქართველოს სპორტსახკომის სააქტო დარბაზში გაიმართა შეხვედრა კრივის სპეციალისტებთან, მწვრთნელებთან — ვისაც უშუალოდ ევალებოდა პასუხისმგებლობა ჩვენი გუნდის მომზადებაზე. ჩემპიონატის შედეგებზე ანგარიშით წარსდგა სპორტსახკომის მთავარი მწვრთნელი კრივში, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ზურაბ გუნია. შემდეგ გაიმართა კამათი.

**ზურაბ გუნია:** — საკავშირო ჩემპიონატში ჩვენი მოკრივეების შესახებ, გასაგები მიზეზის გამო, პრესაში ძუნწი ცნობები იყო. ამიტომ შევეცდები საქმის ვითარება გაგაცნოთ. ტაშკენტის რინგმა ჩვენი ქვეყნის 227 მოკრივეს მოუყარა თავი. მათგან ყველაზე მეტი წარმომადგენელი ჰყავდა რუსეთის ფედერაციას (50), ერთი მოკრივე გამოიყვანა ტაჯიკეთმა. საქართველოს გუნდში 11 სპორტსმენი იყო. მონაწილეთაგან ერთი სპორტის დამსახურებული ოსტატი გახლდათ (მსოფლიოს ექსჩემპიონი იური ალექსანდროვი), 66 — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, დანარჩენები სპორტის ოსტატები იყვნენ.

ჩვენი გუნდის სამი მოკრივე: ძმები ალბერტ და რუდიკ კაზანჯიანები და ხვიჩა ხდრიანი, მოგეხსენებათ, საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრები არიან. სწორედ მათი იმედი გვქონდა უზბეკეთის დედაქალაქში გამართულ შეჯიბრებაში. ახლა კი იმის შესახებ, თუ როგორ წარიმართა შეხვედრები.

48 კგ წონით კატეგორიაში საბჭოთა კავშირის შარშანდელი ჩემპიონატის პრიზიორმა რუდიკ კაზანჯიანმა პირველი ბრძოლა უკრაინელ ალექსანდრე კრილოვიჩს მოუგო, მეორე კი საკავშირო ჩემპიონატის პრიზიორთან სერგეი იუნთან (რსფსრ) წააგო.

51 კგ წონით კატეგორიაში ქან აბრამიანმა პირველივე ბრძოლა დათმო საბჭოთა კავშირის შარშანდელ ჩემპიონთან, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ იური არბაჩაკოსთან (რსფსრ). ამისთვის ქანს ვერ დავადანაშაულებთ, როგორც იტყვიან, ძალა აღმართს ხნავს.

54 კგ წონით კატეგორიაში ჩვენი ორი მოკრივე გამოდიოდა — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები ხვიჩა ხდრიანი და ალბერტ კაზანჯიანი. თავიდანვე უნდა ვთქვათ, რომ ხვიჩა ამ შეჯიბრებისთვის არ იყო მზად. მიუხედავად ამისა, მან პირველი ბრძოლა ჩვეული ოსტატობით წარმართა მასპინძელთა გუნდის მოკრივე ილია რახინჯანოვთან და მეტოქე დაამარცხა ანგარიშით 5:0. მეორე ბრძოლა კი ხდრიანმა წააგო საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ სერგეი უფიმცევთან (რსფსრ), რომელმაც ამ ჩემპიონატში ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ალბერტ კაზანჯიანმა პირველი ორი ბრძოლა ერთნაირი ანგარიშით — 5:0 — მოუგო გარიკ თევოსიანს (ბელორუსია) და ვლადიმერ ანტონოვს (ლენინგრადი). მას ფინალის გზა გადაუკეტა კეთილი ნების თამაშებისა და IX საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა, ლენინგრადელმა ალექსანდრე არტემიევმა, რომელიც ამ შეჯიბრების ჩემპიონიც გახდა. ბრძოლა დაახლოებით თანაბრად მიმდინარეობდა, მაგრამ ნევისპირელი მოწინააღმდეგე უკეთ მომზადებული აღმოჩნდა. 60 კგ წონით კატეგორიაში დავით შარვაშიძემ პირველივე ბრძოლა წააგო საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ გარი აკოფიანთან (რსფსრ).

63 კგ წონით კატეგორიაში კვლავ ორი მოკრივე გამოვიყვანეთ — იური სავოჩკინი და ეროსი მარგიანი. იურიმ დაამარცხა მოსკოველი ალექსანდრე შჩერბაკოვი, მეორე შეხვედრა კი დათმო მსოფლიო თასის მფლობელთან, ევროპისა და ჩვენი ქვეყნის ჩემპიონთან, ბელორუსიელ სპორტსმენ ვიაჩესლავ იანოვსკისთან (აღსანიშნავია, რომ იური შარშანდელ ანალოგიურ შეჯიბრებაშიც მასთან დამარცხდა). ასევე მეორე ეტაპზე გამოეთიშა შეჯიბრებას ეროსი მარგიანი. მან მოუგო აზერბაიჯანელ ჯანგი ჰუსეინოვს და წააგო ალექსანდრე ბუსკუნოვთან (რსფსრ).

# საეჭვო მრედი



91 კგ წონით კატეგორიაში ქუთაისელმა ნიკო სეთურმა პირველივე შეხვედრა დათმო რუსმან არსალიევთან (რსფსრ). ამავე წონაში გამოსულმა დომენტი დანელიამ მოუგო სტანისლავ ბოიკოს (ლატვია), მაგრამ დამარცხდა ვლადიმერ ბალაისთან (რსფსრ).

+91 კგ წონით კატეგორიაში სპარტაკ ასანიძემ და ჯაბა ცუხიშვილმა პირველივე შეხვედრები წააგეს. სპარტაკმა ჰრაჩ ტერსტეფანიანთან (სომხეთი), ჯაბამ — ალექსანდრე მიროშნიჩენკოსთან (ყაზახეთი). ეს უკანასკნელი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა.

**გარი ხაჩატუროვი, გუნდის უფროსი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელი:** შარშან რუდიკ კაზანჯიანმა ლენინგრადში საერთაშორისო ტურნირზე საკმაოდ იოლად სძლია სერგეი იუნს. როგორც ჩანს, იმ გამარჯვებამ მასზე უარყოფითად იმოქმედა. იგი ზედმეტად თავდაჯერებული გამოვიდა რინგზე, ტაქტიკურად სწორად ვერ ააგო შეხვედრა და დამარცხდა. რაც შეეხება ხვიჩა ხდრიანს, იგი საპატიო მიზეზით სათანადოდ ვერ მოემზადა. ალბერტ კაზანჯიანმა ჩემპიონთან რომ წააგო და ბრინჯაოს მედალს დასჯერდა, ეს, ცხადია, არ გამოგვადგება გასამართლებელ მიზეზად. წარუმატებლობა ნაწილობრივ უიღბლო კენჭისყრამაც განაპირობა. ამას ისიც დაემატა, რომ ზოგიერთი მწვრთნელი უგულისყუროდ მოეკიდა ნაკრების კანდიდატთა მზადებას. ტაშკენტში არ გვყავდა ექიმი, გვაკლდა მედიკამენტები. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ ნაკრების წევრთა უმეტესობა სამხედრო სამსახურშია და სპორტსმენებს დროულად ვერ ვათავისუფლებთ, რომ ორჯერადი წვრთნა გაიარონ. ერთი სიტყვით, გუნდი სათანადოდ ვერ მოემზადა შეჯიბრებისთვის.

**თამაზ ქართველიშვილი, ნაკრების მწვრთნელი:** ხაჩატუროვის ნათქვამს მინდა დავუმატო, რომ მესტიელი ეროსი მარგიანი დამოუკიდებლად ემზადებოდა. ნაკრებთან ერთად მან მხოლოდ 18 დღე ივარჯიშა, ეს კი საკმარისი არ აღმოჩნდა წარმატებისთვის. გარდა ამისა, ქუთაისელმა დომენტი დანელიამ შეჯიბრებამდე ორი თვით ადრე აპენდიციტის ოპერაცია გაიკეთა და, ცხადია, მთელი ძალით ვერ ისპარეზა.

**რეპლიკა:** ოპერაცია თუ ჰქონდა გაკეთებული, რატომ წაიყვანეთ?

**ქართველიშვილი:** სხვა, უფრო ღირსეული შემცვლელი არ გვყავდა.

**ვანო ხატიაშვილი, ნაკრების მწვრთნელი:** ნიკო სეთურზე უნდა მოგახსენოთ. მას კარგი მოკრივის ყველა თვისება აქვს, უშიშარიცაა, მაგრამ უდისციპლინოა. სეთურმა სხვა მოკრივეებიც აიყოლია. არ ემორჩილება სამხედრო წესებს, რისთვისაც ხშირად სჯიან. ამის გამო კი ვარჯიშები უცდება.

**რეპლიკა:** ყველაფერს სეთურს ნუ დავაბრალებთ. მას პედაგოგიურად უნდა მივუდგეთ. პირადად მე მისგან ზედმეტი სიტყვა არ გამიგია.

**ვანო ხატიაშვილი:** თუ ჩემი არ გჯერათ, სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობას ჰკითხეთ.

**ალექსი ბორტნიკოვი, თბილისის განათლების სამინისტროს კრივის რესპუბლიკური სკოლის მწვრთნელი:** საქართველოში ბევრი ნიჭიერი მოკრივეა, მაგრამ, რომ იტყვიან, პატრონი არ გვყავს. სპორტული ბაზები არა გვაქვს, არავის აინტერესებს როგორ ცხოვრობენ მოკრივეები, რით იკვებებიან. აღდგენით ცენტრზე რომ არაფერი ვთქვათ, საშხაპეც კი არა გვაქვს. საერთო ფიზიკური განვითარებისათვის სპორტსმენმა სპორტის სხვადასხვა სახეობაში უნდა ივარჯიშოს. ამ მხრივ ყველა მოკავშირე რესპუბლიკას შეუდარებლად უკეთესი პირობები აქვს. უამისოდ, ვფიქრობ, შედეგებზე ლაპარაკიც ზედმეტია.

**გურამ ლორთქიფანიძე, ქუთაისის ოლიმპიური რეზერვების კრივის სპორტული სკოლის დირექტორი:** ჩვენი სავარჯიშო პირობები მართლაც შორსაა იდეალურისგან. ამ მხრივ ქუთაისში უკვე გადაიდგა ნაბიჯი — ქალაქის სპორტკომიტეტის კრივის დარბაზი ბალანსიდან ბალანსზე გადასცეს განათლების განყოფილებას, რომელმაც, თავის მხრივ, 200 ათასი მანეთი გამოყო. კაპიტალურ რემონტს ატარებს აგროტერიტორიული გაერთიანება (თავმჯდომარე ზურაბ ქაჯაია). სპორტულ სკოლაში იქნება ორი სამას-სამასი კვადრატული მეტრი ფართობის დარბაზი, ორი რინგი, საუნა, საშხაპეები. რემონტი ორ თვეში დამთავრდება. ვფიქრობთ, ეს ბაზა ჩვენი ნაკრებისთვის საუკეთესო იქნება.

**ამირან გიორგაძე, ხპი-ს ფიზკულტურის კათედრის უფროსი მასწავლებელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი კრივში:** ჩვენი მოკრივეები სხვებთან შედარებით 5-ჯერ ნაკლებ შეჯიბრებებში იღებენ მონაწილეობას. ადრე იმართებოდა ასპარეზობები ქალაქებს შორის. ეს წვრთნისა და ზრდის საუკეთესო საშუალება იყო, დიდ ინტერესს იწვევდა მოსახლეობაში და მოკრივეთა ობიექტურ შერჩევასაც უწყობდა ხელს.

**ზურაბ გუნია:** წელს ეს ხარვეზი გამოსწორდება — საქართველოს სპორტსახკომის გადაწყვეტილებით ქალაქებსა და სპორტსკოლებს შორის მიმოსვლითი შეჯიბრებები გაიმართება. კარგი იქნება, თუ ქალაქის სპორტკომიტეტი თავის მხრივაც გაირჯება.

**გურამ ხერხეულიძე, „შრომითი რეზერვების" ოლიმპიური რეზერვების სპორტსკოლის დირექტორი:** დღეს აქ ბევრ პრობლემატურ საკითხს შევეხეთ, მაგრამ რატომღაც გვავიწყდება მთავარი — თითქმის ერთი წელია რატომ არ ჰყავს საქართველოს ნაკრებს უფროსი მწვრთნელი, რომელიც უშუალოდ იქნებოდა პასუხისმგებელი გუნდის გამოსვლაზე? ნუთუ ამ ხნის განმავლობაში ასე ძნელი იყო უფროსი მწვრთნელის არჩევა? მით უმეტეს — წინ საკავშირო ჩემპიონატი იყო. გარდა ამისა, გუნდის მომზადებისთვის საჭირო იყო სამი ეტაპი. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ნაკრებს მხოლოდ ერთი შეკრება ჰქონდა.

**ზურაბ გუნია:** უფროსი მწვრთნელის შესახებ რომ ამბობთ, მართალი ბრძანდებით. რაც შეეხება სამ ეტაპად მომზადებას, რომელიც 60 დღეს მოიცავს, იგი მხოლოდ სპარტაკიადებისა და საკავშირო ახალგაზრდული თამაშების დროს ტარდება. ამაზე არსებობს სპეციალური დადგენილება.

**როზა ობოლაძე, რესპუბლიკური დისპანსერის მთავარი ექიმის მოადგილე:** ექიმების შესახებ უკვე ითქვა — ამ თემას ამას წინათ ვრცლად შეეხო გაზეთი „ლელო". მართლაც გვიჭირს ამ მხრივ, ახალგაზრდები, რომლებსაც ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, კანონის თანახმად, სამი წლით აგზავნიან ჩვენთან, „ეკლებზე სხედან". თუ ექიმი დაოჯახებულია, უჭირს სპორტსმენებთან ერთად შეჯიბრებებზე ხშირად სიარული. მათი ერთი ნაწილი კი აცხადებს, — სპორტსმენებთან მთელი სიცოცხლე რომ ვიმუშაოთ, რაც დავხარჯეთ, იმას ვერ ავინაზღაურებთო. როგორც ხედავთ, პრობლემა არც თუ იოლია. ალბათ მომავალში გამოინახება რაიმე გზა.

**რეპლიკა:** მანამდე რა ვიღონოთ?

**როზა ობოლაძე:** თუ დისპანსერში მობრძანდებით, მოგხედავთ.

**დავით ქავთარაძე, პროფკავშირების ოლიმპიური რეზერვების სპორტული სკოლის დირექტორი:** ჩვენს კრივის მეურნეობაში, სამწუხაროდ, ყველაფერი რიგზე როდია. მწვრთნელთა ურთიერთობა კრილოვის იგავ-არაკს მაგონებს — გედი, კიბო და ქარიყლაპია სხვადასხვა მხარეს რომ იწევენ. უმეტესობამ იცის ამის შესახებ, მაგრამ კიდევ მინდა გავიმეორო — სპორტსკოლების საკავშირო თამაშებში ჩვენი სკოლიდან არცერთი მოკრივე არ მონაწილეობდა იმის გამო, რომ ვინც ნაკრების სიახლოვეს იდგა, თავისი აღზრდილები შემოიკრიბა. გამარჯვებულებს არ ასამართლებენო, — ნათქვამია. ჩვენმა ნაკრებმა დიდი უპირატესობით გაიმარჯვა შეჯიბრებაში, მაგრამ გული დაგვწყდა, ჩვენი სკოლის რამდენიმე მოკრივე ნაკრებში რომ არ იყო. მე კი ამის გამო სამსახურიდან მათავისუფლებდნენ.

**ზურაბ გუნია:** დავით ქავთარაძე მართალია. ვერ გამოვიჩინეთ საჭირო პრინციპულობა. ისიც სწორია, რომ მწვრთნელები ერიდებიან გულახდილობას და ობიექტური შეფასების უნარს კარგავენ, როდესაც საქმე მათ შეგირდებს ეხებათ.

• • •

შეხვედრაზე ბევრი საჭირბოროტო საკითხი გამოიკვეთა. იგი მწვავედ მიმდინარეობდა, მაგრამ ისიც ჩანდა, რომ ბევრი რამ არ ითქვა, დაფარული დარჩა. ძნელი ასახსნელია, რატომ არ ჰყავდა საქართველოს ნაკრებს ამდენ ხანს მწვრთნელი. იგივე მდგომარეობაა ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდშიც. ყველაფერმა ამან კი გამოიწვია უპასუხისმგებლობა, არაჯანსაღი ურთიერთობა მწვრთნელებს შორის, მწვრთნელებსა და შეგირდებს შორის. შედეგმაც არ დააყოვნა. ჩვენი მოკრივეები ძალიან ცუდად გამოვიდნენ საკავშირო ჩემპიონატზე.

შეხვედრაზე ზოგიერთები ცდილობდნენ ფერადი სათვალით შეეხედათ დღევანდელი მდგომარეობისთვის. გამოითქვა იმედი, რომ საკავშირო ნაკრების წევრებს კაზანჯიანებს და ხვიჩა ხდრიანს კიდევ აქვთ შანსი ოლიმპიურ ნაკრებში მოხვდნენ. ეს ალბათ უფრო სურვილია, ვიდრე რეალობა. ერთი რამ ცხადია, ამ შეხვედრამ ბევრი საკითხი ახლებურად დააყენა. ახლა მთავარი ისაა, თუ რა დასკვნებს გააკეთებენ ისინი, ვისაც უშუალოდ ჩვენი კრივის ხვალინდელი დღე აბარია.

**საუბარი ჩაიწერა ჯემალ ჭახრაძემ.**

---

ჭადრაკი

## 44-ე რესპუბლიკური...

ეროვნული ბიბლიოთეკა

**თბილისის** ჭადრაკის სასახლეში საზეიმოდ გაიხსნა ქალთა 44-ე რესპუბლიკური ჩემპიონატი, რომელშიც 18 მოჭადრაკე ჩაება.

წილისყრის შედეგად მონაწილენი სატურნირო ცხრილში ასეთი თანამიმდევრობით განლაგდნენ: 1. საერთაშორისო ოსტატი თამარ ხუგაშვილი, 2. ოსტატი ნინო მელაშვილი (ორივე — თბილისი), 3. ოსტატი ციალა ქასოშვილი (გორი), 4. ოსტატობის კანდიდატი ეკატერინე ფახიროვა, 5. ოსტატი თამილა მესხი (ორივე — ქუთაისი), 6. ოსტატი სოფიკო ტერელაძე (სამტრედია), 7. ოსტატობის კანდიდატი ნინო ხურციძე (თბილისი), 8. ოსტატი ქეთევან კახიანი (გარდაბანი), 9. საერთაშორისო ოსტატი ალა ჩაიკოვსკაია (თბილისი), 10. ოსტატობის კანდიდატი ეკა კემულარია (ოჩამჩირე), 11. ოსტატი ციცინო კახაბრიშვილი, 12. ოსტატობის კანდიდატი ნინო გელავა (ორივე — თბილისი), 13. ოსტატობის კანდიდატი მაია ხუციშვილი (გარდაბანი), 14. ოსტატობის კანდიდატი სოფიკო ნიკოლაძე (ქუთაისი), 15. ოსტატი ქეთევან მელაშვილი, 16. ოსტატობის კანდიდატი ლია სადუნიშვილი, 17. ოსტატობის კანდიდატი იამზე თვაური (ყველა — თბილისი), 18. ოსტატობის კანდიდატი ნინო ხარლამიდი (ქუთაისი).

შეჯიბრების დებულების თანახმად, I-IV ადგილის მფლობელები საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ნახევარფინალურ ტურნირში გამოვლენ.

ტყვიის სროლა

## გაიმარჯვეს მასპინძლებმა

**საბჭოთა** არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს მიეძღვნა ზუგდიდში ჩატარებული სროლის კვირეული. ასპარეზობაში, რომელიც ფაიფურის ქარხნის სასროლეთზე ჩატარდა, 79 პირველადი/ორგანიზაცია (250 სპორტსმენი) ჩაება. პირველ ადგილზე შეჯიბრების მასპინძლები, ფაიფურის ქარხნის სპორტსმენები გავიდნენ. მეორე ადგილი საქქალაქდმრეწვის მსროლელებმა დაიკავეს, მესამე კი კომუნალური მეურნეობის სპორტსმენებმა. პირად პირველობაში საუკეთესო მაჩვენებელი რევაზ ფიფიას ჰქონდა — 50 შესაძლებლიდან 49 ქულა. მას ორი ქულით ჩამორჩა თენგიზ ნარსია. მესამე ადგილი ელგუჯა აბსაძეს ერგო (45 ქულა).

მაგიდის ჩოგბურთი

## ყველა თანრიგში

**ბათუმში** ოთხ დღეს მიმდინარეობდა 1976 წელს დაბადებულ მოზარდთა საქართველოს ღია პირველობა მაგიდის ჩოგბურთში.

გოგონებში უძლიერესის სახელი მოიპოვა ო. ხალადარმა (თბილისი). მეორე-მესამე ადგილები შესაბამისად გაიყვეს ე. ქლენტმა და ი. ჩუვადკინამ (ორივე — ბათუმი).

საინტერესოდ მიმდინარეობდა ჭაბუკთა შეჯიბრება. აქ პირველობა არავის დაუთმო თბილისელმა გ. ცაგარეიშვილმა. საპრიზო ადგილებზე გავიდნენ ლ. მალაკმაძე (ბათუმი) და ბოლნისელი დ. სტეფანია.

გოგონათა წყვილებში ჩემპიონის სახელი ქლენტი — ჩუვადკინას დუეტმა მოიპოვა, ჭაბუკთა წყვილებში კი უძლიერესნი ცაგარეიშვილი და სტეფანია იყვნენ.

შერეულ წყვილებში ყველას ო. ხალადარმა და გ. ცაგარეიშვილმა აჯობეს. აბსოლუტური ჩემპიონის სახელი თბილისელმა გ. ცაგარეიშვილმა მოიპოვა.

„ლელოს" კორ.

## თვის მონაგარი

# მედლები, მედლები...

(დასასრული)

შამილ მაჰომედოვმა (68) და მამუკა რაზმაძემ (90) ვერცხლის მედლები მოიპოვეს.

თავიანთ უფროს კოლეგებს მხარი აუბეს ახალგაზრდებმაც, რომლებმაც კიშინიოვში გამართულ იუნიორთა საკავშირო პირველობაში ასევე ხუთი საპრიზო ადგილი დაისაკუთრეს. ამ შეჯიბრებაში, რომელიც სპორტსაზოგადოებების გუნდებს შორის მოეწყო, საქართველოს წარმომადგენელთაგან გაიმარჯვა გორელმა გიორგი ხინჩიკაშვილმა (68 კგ). მეორე ადგილები დაიკავეს სოხუმელმა ნუგზარ საკიანმა (48), აკაკი გაბედავამ (82) და თბილისელმა მერაბ ვალიევმა (130), ხოლო ყვარლელი გიორგი ივანიშვილი (74) მესამე იყო.

არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში საქართველოს მოჭიდავეებმა მეორე ადგილი დაიკავეს, გამარჯვება კი რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებს ხვდათ.

**სპორტული** სეზონის დასაწყისში გამართულ საკავშირო ჩემპიონატებს მუდამ გაორკეცებული ინტერესით ველით. უწინარეს ყოვლისა, ცხადია, გვაინტერესებს ჩვენი ათლეტებიდან პირველი ვინ მოუტანს რესპუბლიკას ოქროს მედალს. წლეულს ასეთი სპორტსმენი იყო გორელი ძიუდოისტი კობა კურტანიძე, რომელმაც ალმაათაში გამართულ საკავშირო ჩემპიონატში ქვემძიმე წონაში მეოთხე ოქროს მედალი მოიპოვა.

კურტანიძეს არც მისი თანაგუნდელები — ქუთაისელი ავთანდილ გუბელაძე და თბილისელი ამირან ტოტიკაშვილი ჩამორჩნენ. ავთანდილი ჩემპიონი გახდა აბსოლუტურ, ხოლო ამირანი — 60 კგ წონით კატეგორიაში.

ამას გარდა, ქუთაისელმა აკაკი კიბორძალიძემ მძიმე წონის ათლეტთა ტურნირში ვერცხლის მედალი მოიპოვა. მესამე პრიზიორები გახდნენ გორელი გიორგი თენაძე (71 კგ) და ენგურ გოგიჩაშვილი (78).

ოლიმპიურ სეზონში ჩვენი ძიუდოისტების მიერ მოპოვებული სამი ოქროს, ერთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი, ვფიქრობთ, სერიოზული განაცხადია.

გუნდურ პირველობაში საქართველოს ძიუდოისტებმა მეორე ადგილი დაიკავეს რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელთა შემდეგ.

ჩვენს ძიუდოისტებს, როგორც ჩანს, რეზერვიც კარგი ეზრდებათ.

ყოველ შემთხვევაში, ტალინში გამართულ საკავშირო პირველობაზე, სადაც სარბიელზე 1970-1972 წლებში დაბადებული სპორტსმენები გამოვიდნენ, ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა, თბილისელებმა ზაზა დაბრუნდაშვილმა (აბსოლუტური კატეგორია) და თამაზ საკაშვილმა (86), ქუთაისელმა დავით ხახალეიშვილმა (მძიმე) და სოხუმელმა მაკარ თვალაძემ (68) ოქროს მედლები მოიპოვეს.

ჩვენმა ძიუდოისტებმა კიდევ ხუთ-ხუთი ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრეს.

ცნობილი ბულგარელი მოჭიდავის ნიკოლა პეტროვის ხსოვნისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირში, რომელიც სოფიაში გაიმართა, თბილისელი „კლასიკოსი" თენგიზ თედორაძეც (90) გამოდიოდა და ყველას აჯობა.

**კლასიკური** სტილის მოჭიდავეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი გაიმართა შვეციის ქალაქ ვესტეროსში, სადაც თბილისელმა ზაურ ივანაშვილმა (90) მეორე ადგილი დაიკავა.

**სპორტული** სეზონი კარგად დაიწყეს ჩვენმა ველოსიპედისტებმა ოთარ მჭედლიშვილმა და ვლადიმერ ადამაშვილმა. მათ იანვარშიც გამოიჩინეს თავი და თებერვალშიც. მჭედლიშვილმა ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა მოსკოვში, კრილატსკის ოლიმპიურ ტრეკზე „აეროფლოტის" პრიზზე გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომელშიც საბჭოთა სპორტსმენების გარდა ბულგარეთის, ფინეთის, საფრანგეთისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებიც გამოდიოდნენ. ქართველ სპორტსმენს წარმატება ხვდა ერთკილომეტრიან რბოლაში (დროზე) და სპრინტერთა შეჯიბრებაში, ამის შემდეგ მჭედლიშვილმა სპრინტერთა ზამთრის საკავშირო ჩემპიონატშიც მესამე ადგილი დაიკავა. ამავე შეჯიბრებაში თბილისელმა ვლადიმერ ადამაშვილმა ვერცხლის მედალი მოიპოვა.

**კიევში**, სადაც წყალში მხტომელთა საკავშირო ჩემპიონატი მოეწყო, თბილსელმა გიორგი ჩოგოვაძემ 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ვერცხლის მედალი დაისაკუთრა. ევროპის ჩემპიონისათვის ეს მეტად მნიშვნელოვან წარმატებად უნდა მივიჩნიოთ, რადგან მისი ძირითადი სახეობა კოშკიდან ხტომაა. რაც შეეხება კოშკიდან ხტომას, აქ მთავარ ფავორიტებად სწორედ ჩოგოვაძე და ერევნელი არსენ ჯავადიანი ითვლებოდნენ. ეტყობა, მეტისმეტი დაძაბულობისაგან ორივეს თითო ნახტომი გაუცუდდა. ჩოგოვაძემ მეხუთე ადგილი დაიკავა, ჯავადიანმა — მეექვსე.

**თბილისელი** ნინო სალუქვაძე კვლავ ბრწყინვალე სპორტულ ფორმაშია. ლვოვში გამართულ საკავშირო პირველობაში მან ყველას აჯობა პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში (პპ-2). ამასთან, სალუქვაძის შედეგი (395 ქულა) საკავშირო რეკორდია და მსოფლიო რეკორდსაც საგრძნობლად აღემატება. მერე ნინომ ფინალში 10 გასროლით 103,4 ქულა მოაგროვა. ეს შედეგიც საკავშირო რეკორდია და მსოფლიო მიღწევასაც ჭარბობს. ნინომ ის ზედმეტი 3,4 ქულა ზუსტად ათიანებში მოხვედრისთვის პრემიალურად დაიმსახურა. ჩვენმა სპორტსმენმა მიღწევათა ნუსხაში მეორე რეკორდიც ჩაიწერა — 498,4 ქულა 50 გასროლით.

სალუქვაძემ, ამას გარდა, კიდევ სამი პირველი ადგილი დაიკავა თანაგუნდელებთან — არმიელ მსროლელებთან ერთად — პპ-2, მპ-10 და მპ-5 ვარჯიშებში.

ამავე შეჯიბრებაში „გაქცეულ ტახზე" სროლაში პირველობა არავის დაუთმო ქუთაისელმა ილია ჩაგანავამ.

**თბილისში** გამართულ იუნიორ მოფარიკავეთა საკავშირო პირველობაში მასპინძელთა გუნდის წარმომადგენელი, რაპირისტი ოლეგ ჩერნიშოვი საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

**ესპანეთში**, მძლეოსანთა საერთაშორისო ტურნირზე, თბილისელმა მაია აზარაშვილმა 400 მეტრზე რბენაში მესამე ადგილი დაიკავა.

**მოსკოვის** ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატზე, რომელშიც 160-მდე სპორტსმენი გამოდიოდა, თბილისელი ვლადიმერ გაბრიჩიძე მეორე იყო.

**ტაშკენტში**, მოკრივეთა საკავშირო ჩემპიონატში თბილისელმა ალბერტ კაზანჯიანმა ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა.

**იაროსლავლში**, სადაც პროფკავშირების სპორტსაზოგადოებების იუნიორ მოკრივეთა საკავშირო პირველობა ჩატარდა, მეორე ადგილები დაიკავეს თბილისელებმა ვაგიფ აბასოვმა (63) და ალბერტ ოჩიგავამ (71). მესამე ადგილებზე გავიდნენ გოჩა მუშკუდიანი (67) და მესტიელი ზურაბ ფალიანი (71). არაოფიციალურ გუნდურ პირველობაში ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები მესამე იყო.

**და ბოლოს**, ჭადრაკის შესახებ. წყალტუბოში პრეტენდენტ ქალთა ტურნირმა, როგორც გახსოვთ, გამარჯვებული ვერ გამოავლინა. თბილისელებმა ნანა იოსელიანმა და ელენა ახმილოვსკაიამ ქულათა თანაბარი რაოდენობა მოაგროვეს. მათ შორის დამატებით მატჩში იოსელიანმა იმარჯვა და უფლება მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონ მაია ჩიბურდანიძეს შეხვდეს.

აი, ჩვენი სპორტსმენებისათვის ასეთი უხვმოსავლიანი იყო თებერვალი და, იმედია, წარმატებათა სერია კვლავაც გაგრძელდება.

---

სსრ კავშირის

ჩემპიონატი კალათბურთში

# „დინამო" თუ „სტროიტელი?"


ეროვნული ბიბლიოთეკა

**რამდენიმე** დღეც და ფინიშის ხაზს გადაჰკვეთს უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა 55-ე საკავშირო ჩემპიონატი, რომლის პირველი კალენდარული მატჩები ჯერ კიდევ შარშან, სექტემბრის მიწურულში მოეწყო.

თავდაპირველად საჭირო იყო რვა უძლიერეს გუნდში მოხვედრა, ვინაიდან საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლის უფლებას სწორედ იგი იძლეოდა. აქ, სხვებზე მეტად გამოიჩინეს თავი ცსკა-მ, კაუნასის „ჟალგირისმა", კიევის „სტროიტელმა", თბილისის „დინამომ", რიგის ვეფ-მა, მოსკოვის „დინამომ", დონეცკის „შახტიორმა" და მინსკის რტი-მ. მერე ამ კოლექტივებს შორის მეოთხედფინალური შეხვედრები ჩატარდა, ნახევარფინალები და ბოლოს სუპერფინალური მატჩების დროც დადგა.

დღეს თბილისსა და კაუნასში გაიმართება ამ სერიის პირველი შეხვედრები. მთავარ სუპერფინალში, როგორც მოგეხსენებათ, ძველი სპორტული მეტოქეები ცსკა და „ჟალგირისი" თამაშობენ. წინა ორ ჩემპიონატში გამარჯვება, გახსოვთ ალბათ, კაუნასელ კალათბურთელებს დარჩათ, მაგრამ მაშინ სხვა დრო იყო — „ჟალგირისის" ღირსებას იცავდა ჩვენი ქვეყნისა და ევროპის საუკეთესო კალათბურთელი არვიდას საბონისი. წლევანდელ სეზონში ეს ნიჭიერი სპორტსმენი ტრავმის გამო არ თამაშობს და, ბუნებრივია, გუნდსაც უჭირს. მთავარი სუპერფინალური მატჩების დრამატიზმს სწორედ ეს განაპირობებს. მაგრამ ამ რთულ ბრძოლაში მოსკოვის არმიელებს სხვა ღირსებებთან ერთად გარკვეული ფსიქოლოგიური უპირატესობაც აქვთ — ისინი, თუ საჭირო გახდა, ორ თამაშს შინ ჩაატარებენ.

ძალები შედარებით უფრო თანაბარია მცირე სუპერფინალის მონაწილეებს — თბილისის „დინამოსა" და კიევის „სტროიტელს" შორის, თუმცა ზემოთხსენებულ ფსიქოლოგიურ უპირატესობას უკრაინელი კალათბურთელებიც ფლობენ, რომლებსაც საჭიროების შემთხვევაში შინ ორჯერ მოუხდებათ თამაში. ეს უპირატესობა „სტროიტელმა" ძირითად ტურნირში უკეთეს ადგილზე გასვლით მოიპოვა.

მიუხედავად იმისა, რომ „სტროიტელმა" გათამაშების ფინიშზე „კუდი მოიქნია" და რამდენიმე შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვა, მათ შორის ცსკა-სთან (106:104) და „ჟალგირისთან" (99:72), თბილისის „დინამოს" წლევანდელ ჩემპიონატში მასთან პირადი შეხვედრების უკეთესი ბალანსი აქვთ. საკმარისია გავიხსენოთ კიევის (90:82 და 97:96) და კაუნასის (80:79) ტურებში მოპოვებული გამარჯვებები. მაგრამ, ვიმეორებთ, ჩემპიონატის ფინიშზე „სტროიტელი" გაცილებით უფრო ძლიერი და სტაბილური გუნდის შთაბეჭდილებას სტოვებს (ძირითადად ლიდერის — ბელოსტენის კარგი თამაშის წყალობით), ვიდრე ტურნირის ადრეულ ეტაპებზე.

ერთი სიტყვით, დღევანდელ მატჩს, რომელიც კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონზე ჩატარდება (დასაწყისი 20 სთ.), გულშემატკივრები, არც თუ უსაფუძვლოდ, ინტერესით მოელიან. განმეორებითი შეხვედრა ამ გუნდებს შორის გაიმართება კიევში. საჭიროების შემთხვევაში მეორე დღეს აქვე გადამწყვეტი შეხვედრა დაინიშნება.

## რა ხდება I ლიგაში?

**კალათბურთელთა** საკავშირო ჩემპიონატის დებულების თანახმად ვიღაცამ უნდა დატოვოს უმაღლესი ლიგა და ვიღაც უნდა გადმოვიდეს მის ნაცვლად პირველი ლიგიდან.

ვაჟთა პირველ ლიგაში ლიდერთა მდგომარეობა დღესდღეობით ასეთია:

ასკ (ალმა-ათა) — 68 ქულა, ნკი (ნიკოლაევი) — 59, „ლოკომოტივი" (ნოვოსიბირსკი) და „სპარტაკი" (ვოროშილოვგრადი) — 58-58, ასკ (რიგა), „დინამო" (ფრუნზე) — 55-55, „სტროიტელი" (კრასნოდარი) — 54, „სტროიტელი" (კუიბიშევი) — 52. ჩასატარებელი დარჩა კიდევ სამი ტური, მაგრამ ახლავე შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ალმა-ათის არმიელთა კოლექტივი გაისად უმაღლეს ლიგაში იასპარეზებს.

პირველი ლიგის ქალთა ტურნირში ჯერჯერობით ლიდერთა ოთხეული გამოვლინდა: „დინამო" (მოსკოვი)— 17 ქულა, უსკ (ტარტუ) — 15, „ბანგა" (კაუნასი) — 12, „სპარტაკი" (სიმფეროპოლი) — 10.

---

საქართველოს თასის გათამაშება ტყვიის სროლაში

# ასაკი ხელს აღარ შეუშლით

**ისე** ჩანს, რომ ბოლო მოელო ჩვენი ტყვიის მსროლელებისთვის მწვავე, ძველთაძველ პრობლემას — სპორტული ბაზების სიმცირეს. მკითხველს უთუოდ ახსოვს, ამ თემაზე ჩვენს გაზეთშიც იბეჭდებოდა წერილები, რომლებშიც აღვნიშნავდით, რომ ბოლო 25 წლის მანძილზე (ეს კი მთელი საუკუნეა სპორტში) თბილისში ერთი სასროლი ბაზა არ აშენებულა. მაგრამ აი, ქალაქში მწყობრში ჩადგა ჯერ პროფკავშირების, შემდეგ კი არმიის სპორტული კლუბის დახურული სასროლეთები, რომლებიც ძალიან მოსწონთ მსროლელებს და ზოგს საუკეთესო ბაზებადაც მიაჩნია მთელს რესპუბლიკაში. ახალი დერეფანი მიაშენეს თემქაში მდებარე დოსააფის ტირსაც. ახლა იქ ერთდროულად ათის ნაცვლად ოცდახუთი სპორტსმენი ივარჯიშებს. ალბათ აღარ წამოიჭრება პრობლემები თბილისში შეჯიბრების ჩატარებისას.

წლეულს ჩვენი რესპუბლიკის ტყვიის მსროლელთა პირველ შეჯიბრებას — საქართველოს თასის გათამაშებას, სწორედ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სპორტული კომპლექსის სასროლეთი მასპინძლობდა. სპორტული სეზონი ეს-ესაა დაიწყო და მონაწილეთა შედეგების მკაცრად შეფასება ჯერ ნაადრევია. ამ ეტაპზე არც მწვრთნელებს აქვთ რაიმე ილუზია და თასის გათამაშებაც ყოველგვარი მოულოდნელობის გარეშე მიმდინარეობს. თუმცა შეჯიბრების რამდენიმე მონაწილემ სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. განსაკუთრებული შედეგი არავის არ უჩვენებია.

საყურადღებო ის არის, რომ მიმდინარეობს თავისებური შეჯიბრება შეჯიბრებაში: უფროსების მხარდამხარ ჩვენი ჭაბუკთა ნაკრების ყველა სავარაუდო კანდიდატი გამოდის — ისახება ნაკრების კონტურები. ასპარეზობის ორგანიზატორებმა დებულებაში ოლიმპიური სახეობების გარდა ამ მიზნით საგანგებოდ შეიტანეს ორი ისეთი ვარჯიში, რომლებიც ჭაბუკთა საკავშირო თამაშების პროგრამაში შედის: მპ-5 (ჭაბუკები) და მპ-10 (გოგონები).

შეჯიბრების სიახლე ის არის, რომ, საკავშირო სპორტსახკომის გადაწყვეტილებით, მსროლელთა ასპარეზობაში მოიხსნა ასაკობრივი ცენზი. ამით კარგად ისარგებლა 40 წლის კონსტანტინე იურევმა და აშკარა უპირატესობით აჯობა თავის ახალგაზრდა კოლეგებს პნევმატური პისტოლეტის სროლაში. აღსანიშნავია დოსააფელ სპორტსმენთა (მათ გუნდში გამოდიოდნენ პროფკავშირელი მსროლელებიც) „აბსოლუტური" გამარჯვება პნევმატური შაშხანით (პშ-6) შეჯიბრებაში. საპატიო კვარცხლბეკის ყველა საფეხური მათ დაიკავეს, ამასთან სამივემ სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა.

აღსანიშნავია, რომ ბევრი უმცროსი ასაკის მსროლელი მოხვდა პრიზიორთა შორის, რაც, ასპარეზობის მთავარი მსაჯის გივი ბოსტოღანაშვილის აზრით, ურიგო შედეგი არ არის ჭაბუკთა II საკავშირო თამაშებისათვის მზადების გადამწყვეტ ეტაპზე.

### კვარცხლბეკი

**ქალები. მპ-5.** 1. ო. სამოილენკო (ასკ) — 678; 2. ღ. დუმბაძე („დინამო") — 675; 3. ე. სმირნოვა (დოსააფი) — 672.

**გუნდური.** დოსააფი — 1717.

**პპ-2.** სამოილენკო — 475; 2. სმირნოვა — 473; 3. ჟ. ზაქარიანი (ასკ) — 472.

**მპ-10.** 1. ღ. კულჩიცკაია (დოსააფი) — 546; 2. ი. აკმიაკოვა („დინამო") — 543; 3. ე. კვიცარიძე (დოსააფი) — 543.

**გუნდური.** დოსააფი — 1625.

**პშ-4.** 1. ი. მელნიკოვა — 474; 2. მ. აბაკელია (ორივე — „დინამო") 469; 3. ტ. ფედოსეევა (დოსააფი) — 468.

**მშ-9.** 1. ფედოსეევა — 594; 2. ნ. ვანიჩენკო (ასკ) — 592; 3. მელნიკოვა — 588.

**გუნდური.** ასკ — 1748.

**მშ-5.** 1. ს. აროშიძე — 657; 2. ხ. ბერიკაშვილი (ორივე — „დინამო") — 656; 3. ტ. ილარიონოვა (დოსააფი) — 644.

**გუნდური.** დოსააფი — 1678.

**ვაჟები. მპ-6.** 1. ვ. დაუშვილი — 628; 2. ს. ერმიშიანი (ორივე — ასკ) — 627; 3. გ. ამაშუკელი („დინამო") — 609.

**პპ-8.** 1. კ. იურევი (დოსააფი) — 671; 2. ა. კუპუხიძე („დინამო") — 660; 3. ა. დოლგარიოვი (ასკ) — 658.

**გუნდური.** ასკ — 1672.

**მპ-8.** 1. ვ. ხალეცკი („დინამო") — 690; 2. ვ. შუსტოვი — 685; 3. ს. ერმიშიანი (ორივე — ასკ) — 677.

**გუნდური.** ასკ — 1761.

**პშ-6.** 1. თ. ქოიავა — 672; 2. კ. კულუმბეგოვი — 668; 3. გ. სარუხანოვი (სამივე — დოსააფი) — 668.

**გუნდური.** დოსააფი — 1728.

**პშ-9.** 1. სარუხანოვი — 692; 2. ვ. სამოილენკო (ასკ) — 692; 3. ქოიავა — 682.

**გუნდური.** ასკ — 1778.

**მშ-6.** 1. ა. ძამოევი (ასკ) — 1244; 2. ქოიავა — 1232; 3. ო. ოგოლენკო (ასკ) — 1218.

**გუნდური.** ასკ — 3413.

**მშ-12.** 1. ა. მიტიანიანი — 672; 2. ღ. აფციაური (ორივე — ასკ) — 667; 3. ზ. ქიზიყურაშვილი („დინამო") — 666.

**გუნდური.** ასკ— 1713.

**საერთო გუნდური.** 1. დოსააფი, პროფკავშირები — 982 ქულა; 2. ასკ — 939; 3. „დინამო" — 581.

# ძმობა სპორტითაც იჭედებოდა

**ომისდროინდელ** თბილისის ქუჩებში იშვიათად შეხვდებოდით ჩოგნიან ყმაწვილებს, მაშინ ამ „მშვიდობიანი“ სახეობისათვის არავის ეცალა. მეტი „პატივისცემით“ სარგებლობდა მოკრივის პატარა ჩემოდნები, რომლითაც ისინი იმხანად ბესიკის ქუჩაზე მდებარე კრივის დარბაზს მიაშურებდნენ ხოლმე. ჩემოდანი იმდენად პატარა იყო, რომ ძლივს იტევდა „ძია გოგის“ (გიორგი მერკვილაძის) მიერ გაცემული საბუთით შეძენილ ბამბის მაისურს და „სატინის“ ტრუსებს. მოკრივის ამ აქსესუარს ემატებოდა მამის ან ბიძისეული ჯარისკაცური ტოლაღები, დღევანდელი ელასტიკური ხელსახვევების მაგივრობას რომ სწევდა.

...მკითხველის ყურადღებას არ შევაჩერებ იმაზე თუ ფრონტზე წასულ ჩვენს ცნობილ თბილისელ მოკრივეებს, კერძოდ, შალვა დვალს, ბორის კვინიხიძეს, ვლადიმერ რუდამიოტკინს, ალექსანდრე ნიკოლეევს, მტერთან უთანასწორო ბრძოლებში როგორ გამოადგათ ფიზიკური წრთობა.

უფროსების მიბაძვით ჩვენც, სოლოლაკელ ჭაბუკთა მთელმა ჯგუფმაც მივაშურეთ ბესიკის ქუჩაზე მდებარე „დინამოს“ დარბაზს, სადაც გვეგულებოდნენ გულისხმიერი აღმზრდელები — ძია სანია (ალექსანდრე გოლდშტეინი) და ძია საშა (ალექსანდრე ბაქრაძე), აგრეთვე ზურაბ კანდელაკი. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ „ლუქსემბურგში“ (ასე ერქვა სასტუმრო „თბილისის“ ქვეშმდებარე კინოთეატრს. ახლა იქ „მუხამბაზია“) საბრძოლო კინოქრონიკებს გამოურიეს ომამდელი ფილმი „მოკრივეებიც“, რომელმაც ყველას მოსვენება დაგვიკარგა და ნამდვილ მოკრივეობაზე დავიწყეთ ოცნება. ოცნება ოცნებად დარჩებოდა, რომ დავითაშვილის ქუჩელი ალიკა სპირიაკოვი არ გამოჩენილიყო. იგი ჩვენში პატივისცემით სარგებლობდა, რადგან საზღვაო მფრინავმა მამამ „ტელნიაშკა“ ჩამოუტანა (რატომღაც იმ დროს მთელი ახალგაზრდობა „ტელნიაშკაზე“ ოცნებობდა) და ალიკას ძალზე მოსწონდა თავი. სიცივეშიც გულგაღეღილი დადიოდა, რომ თავისი სიამაყე — ზოლებიანი სამოსი გამოეჩინა.

კრივის სექციაც ალიკამ აღმოაჩინა და თავადვე წაგვიძღვა დარბაზისკენ. მალე ერთგვარი სიამაყეც დაგვეუფლა, რადგან იმავე დარბაზში ვარჯიშობდნენ უფროსი თაობის ტყავის ხელთათმნის ოსტატები — შალვა გორგასლიძე, გაბრიელ ხანუკაევი, ბორის კალაძე, ლევან ლუდუშაური, ანდრო ნავასარდოვი, ბორის მელაძე, ედუარდ არისტაკისიანი, ედუარდ მესიანი, გოდერძი ტაბატაძე, გიორგი ვართანოვი, ლიოვა მოროზოვი და სხვები. უფროსებში მარტო ოსტატობა როდი გვხიბლავდა — იმითაც იყვნენ მისაბაძნი, რომ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს ძმებივით უყვარდათ ერთმანეთი და ერთი სურვილით ცხოვრობდნენ — მაღალი სპორტული მაჩვენებლებით ედიდებინათ ქართული სპორტის სახელი.

...და აკი ასეც მოხდა. 1945 წელს, როცა ომის გამო შეწყვეტილი მოკრივეთა საკავშირო ჩემპიონატი აღდგა, ჩვენი რესპუბლიკის მოკრივეთა გუნდურ გამარჯვებას ქართველებთან ერთად სომეხი, ებრაელი და რუსი სპორტსმენებიც ჭედდნენ!

...გაყინულ დარბაზს ვარჯიშისაგან გაოფლიანებულ მოკრივეთა ამონასუნთქი ოდნავ ათბობდა. ოციოდე მოზარდი სულგანაბული უსმენდა ძია საშას დარიგებებს.

— მაშ ასე, ხვალ პირველი საბრძოლო ნათლობა გექნებათ. არ დაგავიწყდეთ, დილის აწონაზე უზმონი უნდა მოხვიდეთ. აიწონებით და წახვალთ შინ. მსუბუქად ისაუზმებთ — კარაქიანი პურითა და ჭიქა ჩაით... გასაგებია?!

კარაქის გაგონებაზე ყველას ღიმილმა გადაუარა — ომის თაობას აკლდა კალორიები. მიუხედავად ამისა, დებიუტმა [illegible] კარგად ჩაიარა. მეტოქეებს ტოლი არ დაუდეს და გაიმარჯვეს ჩვენი სექციის წევრებმა იური მანუჩენკომ, ივანე გრიშკომ, [illegible] თბილისში ევაკუაციით იყვნენ ჩამოსულნი), ოთარ ხომერიკმა, გუსიკ მურადოვმა, ორმა რობერტმა — არზუმანოვმა და ოგანეზოვმა, ძმებმა ჯუმბერ და ჯიმშერ მეძმარიაშვილებმა...

შათი გამარჯვებები ყველას გვგვიხარდა, არავინ გამოგვირჩევია, რადგან ძმებივით გვიყვარდა ერთმანეთი...

დაბოლოს, ის, რომ დღევანდელი ჩვენი კრივის ღირსებას იეზიდი ხვიჩა ხდრიანი, სომეხი ძმები კაზანჯიანები იცავენ დიდ სარბიელზე, არავის უკვირს, რადგან ინტერნაციონალიზმი იმთავითვე შეისისხლხორცა ქართულმა კრივმა. ამიტომაც ყველას გვეამაყება მათი წარმატებები საერთაშორისო ასპარეზობებში.

**უშანგ ჟიჟინაძე.**

## პროფკავშირების თასზე

28 თებერვალს დაიწყო პროფკავშირების სპორტსაზოგადოებათა თასის გათამაშება ფეხბურთში. პირველ მატჩებში რუსთავის „მეტალურგმა“ თავის მინდორზე ანგარიშით 6:0 დაამარცხა გორის „დილა“, ხოლო მახარაძის „მერცხლისა“ და სოხუმის „დინამოს“ მატჩი ეშერაში დამთავრდა მახარაძელთა გამარჯვებით — 2:0.

## გამოსათხოვარი სიტყვა

კალგარის თეთრმა ოლიმპიადამ ბევრ სპორტსმენს გაუხსნა გზა დიდ სპორტში, მაგრამ ზოგიერთებისთვის იგი „გედის სიმღერა“ იყო. მათ შორის არიან სახელოვანი სამთომოთხილამურეები შვედი ინგემარ სტენმარკი, შვეიცარიელი პეტერ მიულერი და ავსტრიელი ლეო შტოკი. რომლებიც ასაკის გამო ტოვებენ სარბიელს.

მაგრამ წასვლის წინ გამოსათხოვარი სიტყვა სამივემ თქვა:

**ინგემარ სტენმარკი:** ასაკს ბევრი პრობლემა მოაქვს. ოჯახურ ცხოვრებაში ყველაფერი რიგზე არა მაქვს და ამან გარკვეული გავლენა იქონია ჩემს გამოსვლაზე. ზოგჯერ ადამიანი სამთოსათხილამურო ტრასაზე გასვლისას გიჟს ემსგავსება. სამი წელია, ვერ ვგრძნობ თხილამურებს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ წარმატების იმედი არ უნდა მქონოდა.

**ლეო შტოკი:** რაც უფრო გემატება ასაკი მით უფრო მეტი შრომა გმართებს. არადა, შინ მუდამ გელიან. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ყოველი სტარტის წინ გამარჯვებაზე უფრო შვილებზე ვფიქრობ.

**პეტერ მიულერი:** ახალგაზრდობა თავს არიდებს უნივერსალიზმს და ამაში ალბათ სწორიც არის. ისინი ერთ რომელიმე სახეობას ეუფლებიან და გასაოცარი ოსტატობის სრულყოფას აღწევენ.

ახალგაზრდა თაობის სახელით თავისი მოსაზრება გამოთქვა ოლიმპიურმა ჩემპიონმა სწრაფდაშვებაში, 25 წლის პირმინ ცუბრიგენმა:

— ჩვენ, ცხადია, სტენმარკისა და მიულერის ასაკს ვერ მივაღწევთ — უფრო ადრე წავალთ სპორტიდან. რა დაგიმალოთ და, ჩემზე უმცროსებთან შეჯიბრება ახლავე მიჭირს. სპორტი ძალზე გაახალგაზრდავდა და ეს არის ალბათ ყველაფრის მიზეზი.

## ყველაზე საპატიო პრიზი— დევისის თასი



**თებერვლის** დასაწყისში მსოფლიოს 16 საუკეთესო გუნდი ჩაება „დევისის თასის“ მორიგ გათამაშებაში. უკვე გაირკვა იმ რვა გუნდის ვინაობა, რომლებიც გააგრძელებენ ბრძოლას მსოფლიო ჩოგბურთის ყველაზე საპატიო გუნდური პრიზისათვის — ვერცხლის სასალათისათვის. ესენია გფრ-ის, შვეციის, ჩეხოსლოვაკიის, ავსტრალიის, იტალიის, დანიის, იუგოსლავიისა და საფრანგეთის ნაკრები გუნდები. მეოთხედფინალური შეხვედრები გაზაფხულზე გაიმართება, ამ შეჯიბრებაში გამარჯვებული კი წლის ბოლოს გამოვლინდება, ჩვენი მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება „დევისის თასის“ მოკლე ისტორია.

ამერიკელი ჩოგბურთელის დუაიტ დევისის მიერ დაარსებული და მისივე სახელობის თასი, 1900 წლიდან მოყოლებული, ყოველწლიურად გადაეცემა ჩოგბურთელთა უძლიერეს ეროვნულ გუნდებს შორის გამართულ ტურნირში გამარჯვებულს. მისი პირველი მფლობელი გახდა აშშ-ს გუნდი, რომელმაც დიდი ბრიტანეთის ნაკრები დაამარცხა ანგარიშით — 5:0. მომდევნო 1901 წელს და ორივე მსოფლიო ომის წლებში შეჯიბრებები არ ჩატარებულა. ამრიგად, წლევანდელი ტურნირი რიგით სამოცდამეჩვიდმეტეა.

დევისის თასის გათამაშებაში აშკარაა ორი უძლიერესი საჩოგბურთო ქვეყნის აშშ-ისა და ავსტრალიის უპირატესობა. მათ საერთო ჯამში წინა გათამაშებების უმეტესობა მოიგეს: 76-დან 54 შეჯიბრება. ამ თავისებურ „დუელში“ კი აშშ ჯერჯერობით მცირე უპირატესობას ინარჩუნებს. დანარჩენი გუნდები კი ლიდერებს მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან, რაც კარგად ჩანს ქვემოთმოყვანილი ცხრილიდან:

**გამარჯვებული ფინალისტი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | აშშ | 28 | 26 |
| 2. | ავსტრალია | 26 | 15 |
| 3. | დიდი ბრიტანეთი | 9 | 8 |
| 4. | საფრანგეთი | 6 | 3 |
| 5. | შვეცია | 4 | 2 |
| 6. | იტალია | 1 | 5 |
| 7. | ჩეხოსლოვაკია | 1 | 1 |
| 8. | სამხრეთ აფრ. რეს. | 1 | — |
| 9. | რუმინეთი | — | 3 |
| 10. | ინდოეთი | — | 3 |
| 11. | ესპანეთი | — | 2 |
| 12. | გფრ | — | 2 |
| 13. | არგენტინა | — | 1 |
| 14. | ჩილე | — | 1 |
| 15. | მექსიკა | — | 1 |
| 16. | იაპონია | — | 1 |
| 17. | ბელგია | — | 1 |

თუ გუნდური ჩოგბურთის ორი უდავო ლიდერი საკმაოდ სტაბილურად თამაშობს საუკუნის დასაწყისიდან დღემდე, ამას ვერ ვიტყვით III და IV პოზიციებზე მდგარ დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის კოლექტივებზე, რომელთა ყველა შთამბეჭდავი გამარჯვება II მსოფლიო ომამდელ პერიოდს უკავშირდება. ბრიტანელებმა ზედიზედ ოთხ-ოთხჯერ გაიმარჯვეს 1903-06 და 1933-36 წლებში, ფრანგებმა კი ექვსივე გამარჯვება ერთმანეთის მიყოლებით მოიპოვეს 1927-32 წლებში, როცა მათ გუნდში ლეგენდარული „მუშკეტერები“ — ანრი კოშე, ჟან ბოროტრა, რენე ლაკოსტი და ჟაკ ბრიუნიონი გამოდიოდნენ, ომის შემდგომ წლებში ისინი მხოლოდ თითოჯერ გავიდნენ ფინალში და აშშ-სთან დამარცხდნენ, სწორედ ბრიტანელებისა და ფრანგების ჰეგემონიის წლები (1927-36 წწ) გამოდგა აშშ-ის გუნდისთვის ყველაზე ხანგრძლივი წარუმატებლობის პერიოდი, მათ ერთხელაც ვერ შეძლეს დევისის თასის მოპოვება. ავსტრალიელების მსგავსი წარუმატებლობა კი უფრო დიდხანს 19 წელიწადს გაგრძელდა (1920-38 წწ).

ფრანგების ზედიზედ ექვსი გამარჯვება, მართლაც რომ ფენომენალურ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ ამ მაჩვენებლით ისინი მხოლოდ მეორე ადგილზე არიან, უწყვეტი გამარჯვებების რეკორდი კი ამერიკელებს ეკუთვნით, რომლებიც 1920-26 წლებში ზედიზედ შვიდჯერ ფლობდნენ მსოფლიო საუკეთესო გუნდის ტიტულს.

რადგან რეკორდები ვახსენეთ, უნდა აღვნიშნოთ ავსტრალიელთა მიერ დამყარებული ძნელად წარმოსადგენი მიღწევაც — მათ 1938 წიდან მოყოლებული 1968 წლის ჩათვლით, ე. ი. ზედიზედ 25 ტურნირის განმავლობაში (შეგახსენებთ, რომ 1940-45 წლებში შეჯიბრება არ ტარდებოდა) მონაწილეობა მიიღეს ყველა ფინალურ შეხვედრაში და 16 მათგანში გაიმარჯვეს კიდეც. ამ პერიოდში ჩატარებულ პირველ 16 ტურნირში (1938-59 წწ) ისინი სულ აშშ-ის გუნდს ხვდებოდნენ და 9-ჯერ დაამარცხეს მეტოქე. სულ კი ეს გუნდები ფინალში 28-ჯერ (საშუალოდ ყოველ მესამე ფინალურ მატჩში) შეხვდნენ ერთმანეთს, რაც ასევე უდავო რეკორდად უნდა ჩავთვალოთ. აქ მცირე უპირატესობა ავსტრალიელთა მხარესაა (15-13). 10-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს ფინალში აშშ და დიდი ბრიტანეთი და თითოეულმა 5-5-ჯერ გაიმარჯვა. 1937-59 წლებში აშშ-ის გუნდი ზედიზედ 17 ტურნირის ფინალში იბრძოდა და 8 გამარჯვება მოიპოვა. ზედიზედ 9-ჯერ იყვნენ ფინალში ფრანგები (1925-33 წწ, 6 გამარჯვება), 7-ჯერ ბრიტანელები (1900-1907 წწ. 4 გამარჯვება). უკანასკნელი 5 გათამაშების განმავლობაში (1983-1987 წწ) ფინალში უცვლელად მონაწილეობს შვეციის ნაკრებიც (3 გამარჯვება).

ზედიზედ პირველი 62 ტურნირის მანძილზე დევისის თასს, მხოლოდ 4 მფლობელი ჰყავდა: აშშ, დიდი ბრიტანეთი, ავსტრალია და საფრანგეთი. 1974 წელს „დიდი ოთხეულის“ ჰეგემონია სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ დაარღვია. 1975, 1976, 1980, 1984, 1985, 1987 წლებში მსოფლიოში უძლიერესნი იყვნენ შვედები, იტალიელები და ჩეხოსლოვაკიელები. ფინალისტთა შორის მოხვდნენ ინდოეთის (1974-1987 წწ), ჩილეს (1976), არგენტინის (1981), გფრ-ს (1985) გუნდები. ეს ფაქტი უდავოდ მეტყველებს თანამედროვე ჩოგბურთში კონკურენციის მნიშვნელოვან გაძლიერებაზე, რაც უშუალოდ დაკავშირებულია ჩოგბურთის დიდ პოპულარიზაციასთან მსოფლიოში და დევისის თასის გათამაშების პრესტიჟის ამაღლებასთან.

სამწუხაროდ, ამ საპატიო პრიზის მოცილეთა შორის ვერ ვხედავთ სსრ კავშირის ნაკრებს, რომელიც მსოფლიო ჩოგბურთის „გრანდებს“ არ მიეკუთვნება. სსრ კავშირის ნაკრებმა დევისის თასზე ყველაზე მნიშვნელოვან წარმატებას 1974 წელს მიაღწია, როდესაც იგი ნახევარფინალში გავიდა და ინდოეთის გუნდთან დამარცხდა 1:4. თასის წლევანდელ გათამაშებაშიც ჩვენი გუნდი, მხოლოდ მოკრძალებული ამოცანის გადასაწყვეტად იბრძვის, მან უძლიერესთა შორის ადგილის მოპოვებაზე უნდა იზრუნოს.

**ალექსანდრე ჯიბლაძე,**
**ხოსო სალუქვაძე.**

## ცისფერ ეკრანზე

**ცენტრალური ტელევიზია**

**3 მარტი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში: პირველი სუპერფინალური მატჩი ცსკა — „ჟალგირისი“ (კაუნასი) — **19.25 (2)**; რიტმული ტანვარჯიში — **21.30 (2)**.

**4 მარტი.** დილის ტანვარჯიში — **9.00(2)**; საერთაშორისო მატჩი კრივში: სსრ კავშირი — აშშ (გადმოცემა მოსკოვიდან) — **20.15 (2) და 22.50 (2)**.

**საქართველოს ტელევიზია. 3 მარტი.** სპორტული პროგრამა — **20.40.**

რედაქტორი
**თ. ბაჩეჩილაძე.**


**თბილისის** მოგზაურობისა და ექსკურსიების ბიურო გთავაზობთ მოგზაურობას შავ ზღვაზე კომფორტული თბომავლით „შოთა რუსთაველი“. კრუიზი დაიწყება სოხუმიდან 20 მარტს და 27 მარტამდე გაგრძელდება. მოგზაურობის მარშრუტია: სოხუმი-სოჭი-იალტა-სევასტოპოლი ოდესა სოხუმი.

საგზურის ღირებულება კაიუტების კატეგორიების მიხედვით 183-400 მანეთია. მგზავრობა სოხუმამდე და უკან საგზურის ფასში არ შედის.

საგზურები იყიდება როგორც ნაღდ ანგარიშზე, ისე გადარიცხვით.

დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება და საგზურების შეძენა შეგიძლიათ საგზურების სარეალიზაციო განყოფილებაში.

ჩვენი მისამართია. მეტეხის აღმართი №4. ტელ: 74-40-67.



უკრაინის ანსამბლი „ბალეტი ყინულზე“ საერთაშორისო დღის, 8 მარტის აღსანიშნავად და საქართველოს მშრომელთა თხოვნით აგრძელებს თავის გასტროლებს სპორტის სასახლეში.

წარმოდგენები 7-8 მარტს 14.00 და 17.00 საათზე დაიწყება.

ბილეთები იყიდება ცენტრალურ თეატრალურ სალაროებსა და სპორტის სასახლეში.

**ადმინისტრაცია.**



**ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი (წერეთლის გამზირი № 2)**
**7 მარტი ◎ ფეხბურთი ◎ სსრ კავშირის 1988 წლის ჩემპიონატი**
**„დინამო“ (თბილისი) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) ◎ დასაწყისი 18 საათზე**

მატჩზე დასასწრები და საფეხბურთო ლატარიის ბილეთები სტადიონის სალაროებში გაიყიდება 4 მარტიდან, ხოლო ორგანიზაციებში — 4 და 5 მარტს.

სალაროები ღიაა 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-15 საათამდე).

აბონემენტების მფლობელებს ლატარიის ბილეთების შეძენა შეუძლიათ № 7 სალაროში.

იმასთან დაკავშირებით, რომ თამაშის დაწყებამდე 1 საათით ადრე შეწყდება ლატარიის ბილეთების გაყიდვა, გთხოვთ იზრუნოთ მათი დროულად შესაძენად.



**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი**
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05221